სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 2024 წელს აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება (შემდგომ - დებულება) არეგულირებს სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (შემდგომ - თსსა/აკადემია) 2024 წელს აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის ჩატარების წესს, პირობებსა და ორგანიზების საკითხებს.
2. დებულების მიღების სამართლებრივი საფუძვლებია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“ და „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესი”, ასევე, სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) თსსა-ის შემოქმედებითი კონკურსი (შემდგომ - შემოქმედებითი კონკურსი/კონკურსი) - „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე თსსა-ში საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის სწავლის უფლების მოსაპოვებელი სავალდებულო პროცედურა, რომელიც ვრცელდება თსსა-ის სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედიახელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების აბიტურიენტებზე;
ბ) თსსა-ის საგამოცდო ოფისი (შემდგომ - საგამოცდო ოფისი) - თსსა-ის რექტორის ბრძანებით შექმნილი ორგანო (მათ შორის, საგამოცდო ოფისის საქმიანობაში მონაწილე ერთი წევრი - საგამოცდო ფუნქციის მდივნის ფუნქციის შესრულებით), რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზებას;
გ) თსსა-ის წარმომადგენელი/მეთვალყურე (შემდგომ - წარმომადგენელი/მეთვალყურე) - პირი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს საგამოცდო პროცესს;
დ) თსსა-ის შემოქმედებითი კონკურსის შემფასებელი კომისია (შემდგომ - შემფასებელი კომისია/კომისია) - თსსა-ის რექტორის ბრძანებით შექმნილი დარგის სპეციალისტთა ჯგუფი (თსსა-ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან/და გარეშე მოწვეული პირები), რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს პორტფოლიო/საგამოცდო ნამუშევრები;
ე) დამკვირვებელი - საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელიც კონკურსზე დაშვებულია დამკვირვებლის სტატუსით;

ვ) ტექნიკური და სხვა პერსონალი/რეგისტრატორები - პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ აბიტურიენტთა რეგისტრაციასა და კონკურსის ჩატარებას;
ზ) საპრეტენზიო საბჭო - აბიტურიენტთა საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით, დარგის სპეციალისტთა (თსსა-ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან/და გარეშე მოწვეული პირები) შემადგენლობით შექმნილი დროებითი ორგანო;
თ) საგამოცდო ცენტრი - კონკურსის ჩატარებისათვის სპეციალურად მოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე ან შენობა;
ი) აბიტურიენტი - სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელება სურს თსსა-ში;
კ) პორტფოლიო - აბიტურიენტის მიერ, ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტების დაცვით, კონკურსის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შესრულებულ ნამუშევართა ერთობლიობა;
ლ) ნათესავი - ამ დებულების მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება: პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი, მეუღლე, და-ძმა, მშობელი, შვილი, გერი, ასევე, ჩამოთვლილი პირების მეუღლე, და-ძმა, მშობელი, შვილი, გერი და შვილები.

მუხლი 3. თსსა-ში აბიტურიენტების ჩარიცხვის წესი

1. თსსა-ის სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედიახელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ და „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ შესაბამისად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
ა) სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებსა და არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება თსსა-ის შემოქმედებითი კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტებით რანჟირებული ქულებით;
ბ) არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე - არქიტექტურა - თსსა-ის შემოქმედებითი კონკურსის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად.
2. შემოქმედებითი კონკურსით გათვალისწინებული საგნებისთვის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

ფაკულტეტი	პროგრამა	შემოქმედებითი კონკურსის კოეფიციენტი
არქიტექტურა	არქიტექტურა	*არ ენიჭება კოეფიციენტი*
არქიტექტურა	ინტერიერის დიზაინი	9
სახვითი ხელოვნება	დაზგური ფერწერა	10
სახვითი ხელოვნება	ქანდაკება	10
სახვითი ხელოვნება	დაზგური გრაფიკა	10
სახვითი ხელოვნება	წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია	10
სახვითი ხელოვნება	პლაკატის დიზაინი	10
სახვითი ხელოვნება	ანიმაცია	10
სახვითი ხელოვნება	კინო-ტელე მხატვრობა	10
სახვითი ხელოვნება	თეატრის მხატვრობა	10
მედიახელოვნება	ციფრული მედია	7
მედიახელოვნება	გრაფიკული დიზაინი	7
მედიახელოვნება	ფოტოგრაფია	8
დიზაინი	მოდის დიზაინი	10
დიზაინი	მხატვრული კერამიკა	10
დიზაინი	მხატვრული მინა	10
დიზაინი	სამკაული და ლითონის დეკორატიული პლასტიკა	10
დიზაინი	სამრეწველო დიზაინი	10
დიზაინი	ტექსტილის დიზაინი	10
დიზაინი	ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის დიზაინი	10

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ფორმა

1. თსსა-ის პასუხისმგებლობას განეკუთვნება კონკურსის ხარისხიანი ორგანიზება და ობიექტური შეფასება.

2. კონკურსზე საგამოცდო ოფისის წევრად, შემფასებელი კომისიის წევრად, საპრეტენზიო საბჭოს წევრად, მეთვალყურედ/წარმომადგენლად, დამკვირვებლად, ტექნიკურ და სხვა პერსონალად/რეგისტრატორად არ დაიშვება პირი, რომელიც აბიტურიენტის ნათესავია და ამ პირობის დაცვას ადასტურებს ხელმოწერით.

მუხლი 5. კონკურსის შეფასების სისტემა

1. არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე (არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი) შემოქმედებითი კონკურსი მოიცავს შემდეგ ორ კომპონენტს:

ა) აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო:

ა.ა) პორტფოლიო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ა.ა.ა) ნახაზი - გეომეტრიული დეტალი, 3-5 ცალი (ნახაზი უნდა იყოს წარმოდგენილი A3 ფორმატზე, სამი ხედით და იზომეტრია ჭრაში);

ა.ა.ბ) შავ-თეთრი გრაფიკული ჩანახატი, 3-5 ცალი (მასალად დასაშვებია შავი ფანქარი/მარკერი, ტუში, ნახშირი; ნამუშევრის ფორმატი - არ უნდა აღემატებოდეს A3-ს);

ა.ა.გ) ჩანახატი ფერში - ნებისმიერი მასალა, 3-5 ცალი (წყლის საღებავი (აკვარელი), ფერადი ფანქარი, პასტელი, გუაში, ფერადი ფლომასტერი; ნამუშევრის ფორმატი - არ უნდა აღემატებოდეს A3-ს);

ა.ბ) პორტფოლიოს შეფასება ხდება შემდეგი წესით:

ა.ბ.ა) პორტფოლიოს ეცნობა და აფასებს შემფასებელი კომისია (ანონიმურად);

ა.ბ.ბ) იმ შემთხვევაში, თუ პორტფოლიო სრულად არ აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებს, ფასდება უარყოფითად - 0 ქულით;

ა.ბ.გ) პორტფოლიო, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებს, ფასდება დადებითად - 5 ქულით;

ა.ბ.დ) შემოქმედებითი კონკურსის მეორე ეტაპზე (გამოცდაზე) დაიშვება მხოლოდ ის აბიტურიენტი, რომლის პორტფოლიო დადებითად შეფასდება, ამ პუნქტის „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ) გამოცდა ხაზვაში:

ბ.ა) გეომეტრიული დეტალი ჭრაში (მოცემული ორი ხედით მესამე ხედის აგება, იზომეტრია ჭრაში, ხედები ჭრაში) - ფორმატი A3;

ბ.ბ) საგამოცდო ნამუშევრის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 95 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ბ.ბ.ა) მოცემულობის ამოხსნა - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 45 ქულით, მათ შორის:

ბ.ბ.ა.ა) წინხედის და ზედხედის აგება - 0-5 ქულა;

ბ.ბ.ა.ბ) გვერდხედის აგება - 0-10 ქულა;

ბ.ბ.ა.გ) იზომეტრიის აგება - 0-10 ქულა;

ბ.ბ.ა.დ) ჭრილი წინხედში - 0-5 ქულა;

ბ.ბ.ა.ე) ჭრილი გვერდხედში - 0-5 ქულა;

ბ.ბ.ა.ვ) ჭრილი იზომეტრიაში - 0-10 ქულა;

ბ.ბ.ბ) ნახაზის გრაფიკული შესრულება (ძირითადი და დამხმარე ხაზების სისქე და სიმკვეთრე, სიმეტრიის ღერძების დატანა, ზომების გატანა, ჭრა ხედებში და იზომეტრიაში დაშტრიხული) - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 30 ქულით, მათ შორის:

ბ.ბ.ბ.ა) ნახაზის სისუფთავე - 0-5 ქულა;

ბ.ბ.ბ.ბ) ჭრილების დაშტრიხვის ხარისხი - 0-5 ქულა;

ბ.ბ.ბ.გ) ხაზთა ტიპები - 0-10 ქულა;

ბ.ბ.ბ.დ) ისრები და ციფრები - 0-10 ქულა;

ბ.ბ.გ) განაწილება ფურცელზე (ნახაზის კომპოზიციური განაწილება) - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 20 ქულით, მათ შორის:

ბ.ბ.გ.ა) ზომების გატანა-გადანაწილება - 0-10 ქულა;

ბ.ბ.გ.ბ) კომპოზიციური განაწილება - 0-10 ქულა;

ბ.გ) ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო ნამუშევრის შეფასება (0-ზე მეტი ქულით) ხდება იმ შემთხვევაში, თუ ნახაზი შესრულებულია სრულად (წინხედი, ზედხედი, გვერდხედი, იზომეტრია).

2. სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე შემოქმედებითი კონკურსი მოიცავს შემდეგ ორ კომპონენტს:

ა) აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო:

ა.ა) პორტფოლიო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ა.ა.ა) თავისუფალი ნამუშევრები, რომლებიც აბიტურიენტთა აზრით, მაქსიმალურად ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩენენ მის ინდივიდუალურ-შემოქმედებით პოტენციალს (ნებისმიერი მხატვრული, გრაფიკული თუ ფერწერული მასალა, მათ შორის, შერეული ტექნიკა, კოლაჟი, აპლიკაცია, ფოტო-კოლაჟი) – 3-5 ნამუშევარი (ნამუშევრის ფორმატი არ უნდა აღემატებოდეს A3-ს);

ა.ა.ბ) სწრაფი ჩანახატი ნატურიდან - ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი მასალითა (შავი ფანქარი, ტუში, ნახშირი, შავი ფლომასტერი, აკვარელი, ტემპერა, გუაში, ფერადი ფანქარი, პასტელი, აკრილი) და ნებისმიერ თემაზე (ადამიანის ფიგურა, ცხოველი, ქალაქის, სოფლის პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.) შექმნილი ეტიუდი (ფერწერა)/სკეტჩი (გრაფიკა) – 8-10 ნამუშევარი (ნამუშევრის ფორმატი არ უნდა აღემატებოდეს A3-ს);

ა.ბ) პორტფოლიოს შეფასება ხდება შემდეგი წესით:

ა.ბ.ა) პორტფოლიოს ეცნობა (საგამოცდო ნამუშევართან ერთად) და აფასებს შემფასებელი კომისია (ანონიმურად);

ა.ბ.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის (ან შეუსაბამობის) გათვალისწინებით, პორტფოლიო ფასდება - 1-5 ქულით;

ბ) გამოცდა ხატვაში (სწრაფი ჩანახატები - სკეტჩები):
ბ.ა) ადამიანის ჩაცმული ფიგურის სწრაფ ჩანახატებს (სკეტჩებს) სამ განსხვავებულ პოზიციაში და სამივე ნამუშევარი (თითო ნამუშევრის ზომა განისაზღვრება A3 ფორმატით) სრულდება გრაფიტის ფანქრით (ფანქრის სირბილეს აბიტურიენტი აირჩევს სურვილისამებრ);
ბ.ბ) ნამუშევრების მაქსიმალური ჯამური შეფასება (ერთობლივად სამივე პოზიციაზე) განისაზღვრება 95 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ბ.ბ.ა) სასურათე სიბრტყეზე ფიგურის კომპოზიციური განაწილება და მისი ძირითადი პროპორციების განსაზღვრა - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 30 ქულით;
ბ.ბ.ბ) სასურათე სიბრტყეზე, მოცემულობის ფორმების აგება-კონსტრუირება და შუქ-ჩრდილების ტონალური მოდელირებით მოცულობის გადმოცემა - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 30 ქულით;
ბ.ბ.გ) შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარები (პლასტიური გამომსახველობა, ექსპრესიულობა) - მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 35 ქულით.

3. წარმოდგენილი პორტფოლიო აბიტურიენტის თანდასწრებით დასურათდება (ფოტოგადაღება) ან/და დასკანერდება თსსა-ის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, ილუქება და პორტფოლიოს ჩაბარებას აბიტურიენტი ადასტურებს ხელმოწერით. დასურათებული/დასკანერებული მასალა თსსა-ში ინახება ელექტრონული ფორმით.

4. გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 0 ქულაზე მეტი შეფასების მიღება.

5. პორტფოლიოს წარმოდგენას (შესაბამის განსაზღვრულ დღეებში) უზრუნველყოფს აბიტურიენტი, პირადობის მოწმობის/პასპორტის ან მაიდენტიფიცირებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენით. პორტფოლიოს წარმოდგენა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით (სანოტარო აქტით) განსაზღვრული მინდობილი პირის საშუალებით (შესაძლებელია რამდენიმე აბიტურიენტის მიერ ერთი მინდობილი პირის განსაზღვრა) და ამ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა ხორციელდება მინდობილი პირის თანდასწრებით და ამავე მე-3 პუნქტში მითითებულ ხელმოწერას ახორციელებს მინდობილი პირი. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი არის არასრულწლოვანი (პორტფოლიოს ჩაბარების დღისთვის), ამ მუხლის მე-3 პუნქტითა და ამ პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელება შესაძლებელია აბიტურიენტის კანონიერი წარმომადგენლის (აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობით) მიერ.

6. პორტფოლიოები წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტსა და მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, პორტფოლიო არ მიიღება და აბიტურიენტი არ დაიშვება შემოქმედებით კონკურსზე.

მუხლი 6. შემფასებელი კომისია

1. ამ დებულების მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის (არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე) თითოეული კომპონენტის (პორტფოლიო, გამოცდა) შეფასების მიზნით იქმნება ორი შემფასებელი კომისია;

ბ) მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის (სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე) კომპონენტების შეფასების მიზნით, იქმნება ერთი შემფასებელი კომისია.

2. დაუშვებელია ერთი და იგივე პირის მონაწილეობა ერთზე მეტი კომისიის საქმიანობაში. კომისიის თავმჯდომარე განისაზღვრება კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თითოეული კომისიის წევრთა რიცხოვნობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე:

ა.ა) პორტფოლიოს შეფასების მიზნით შექმნილი კომისია - 3 წევრი;

ა.ბ) გამოცდის შეფასების მიზნით შექმნილი კომისია - 5 წევრი;

ბ) სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე პორტფოლიოს/გამოცდის შეფასების მიზნით შექმნილი კომისია - 5 წევრი.

4. კომისიის წევრს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება, რექტორის ბრძანების შესაბამისად.

5. კომისია საქმიანობას ახორციელებს თსსა-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ შესაბამისი დღეებში და აფასებს პორტფოლიოსა და საგამოცდო ნამუშევრებს ამ დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

6. შემფასებელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

7. კომისია გადაწყვეტილებას შესაბამისი ქულით შეფასების თაობაზე იღებს კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში - კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით.

8. კომისია ვალდებულია შეაფასოს უკლებლივ ყველა პორტფოლიო და საგამოცდო ნამუშევარი.

9. აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო რჩება თსსა-ში საპრეტენზიო განცხადებებზე გადაწყვეტილების მიღების ბოლო დღემდე, რის შემდეგაც იგი უბრუნდება აბიტურიენტს მისი მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი არ მოითხოვს პორტფოლიოს დაბრუნებას ან არ გამოცხადდება მოთხოვნილი პორტფოლიოს მისაღებად, პორტფოლიო რჩება თსსა-ში და ინახება არქივში, თავად აბიტურიენტის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოთხოვნამდე (პორტფოლიოს დაბრუნების შესახებ).

10. აბიტურიენტის მიერ შესრულებული საგამოცდო ნამუშევარი რჩება თსსა-ში და ინახება არქივში.

მუხლი 7. შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის საფასური

1. ამ დებულების მე-5 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ კონკურსებში მონაწილეობისათვის, საფასური განისაზღვრება 40 ლარის ოდენობით, თითოეული კონკურსისთვის. დებულების მე-5 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორივე კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში, ჯამური საფასური შეადგენს 80 ლარს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური აბიტურიენტის მიერ გადახდილ უნდა იქნეს რეგისტრაციის პირველი ეტაპის განხორციელებიდან არაუგვიანეს პორტფოლიოს წარდგენისთვის განსაზღვრული ბოლო დღის (რომლის შემდგომ პორტფოლიო აღარ მიიღება) ჩათვლით ვადაში. აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო მიიღება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დოკუმენტის (მატერიალური ან/და ელექტრონული სახით) წარმოდგენის შემთხვევაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო არ მიიღება/არ განიხილება და შესაბამისად, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას შემოქმედებით კონკურსში (ისევე, როგორც პორტფოლიოს წარმოუდგენლობის შემთხვევაში).
3. პორტფოლიოს/საგამოცდო ნამუშევრის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს.
4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული საფასურის გადახდა ხდება თსსა-ის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით.
5. იმ შემთხვევაში, თუ პორტფოლიოს/საგამოცდო ნამუშევრის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადების განხილვის შედეგად საპრეტენზიო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების (შეფასების გაზრდის) თაობაზე, აბიტურიენტს უკან უბრუნდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა.

6. აბიტურიენტი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თანხის დაბრუნების შესახებ განცხადებით (პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების მითითებით) მიმართოს თსსა-ის საბოლოო შეფასების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. საგამოცდო განაცხადი - აბიტურიენტთა რეგისტრაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მიღებისთვის აბიტურიენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ამ დებულებით დადგენილი წესით.
2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად შემდეგი წესით:
ა) პირველი ეტაპი - რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, აბიტურიენტის მიერ თსსა-ის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ფორმის შევსების შედეგად;
ბ) მე-2 ეტაპი - ხორციელდება გამოცდის დაწყებამდე და ითვალისწინებს აბიტურიენტ(ებ)ის აღრიცხვასა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის გადამოწმება/დადასტურებას, აბიტურიენტ(ებ)ის მიერ ხელმოწერის გზით.
3. აბიტურიენტს პირველი ეტაპის რეგისტრაციის გავლისთანავე ენიჭება ინდივიდუალური კოდი (რეგისტრაციის ნომერი), რომელიც წარმოადგენს როგორც კონკურსზე გასვლის თარიღის, ისე კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ინდივიდუალური კოდი აბიტურიენტს ეგზავნება მის მიერ სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
4. ობიექტური მიზეზების გამო ან/და გამოცდის დღეს აბიტურიენტის შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში, გამოცდაზე გამოცხადების თარიღი შეიძლება შეიცვალოს აბიტურიენტის მიერ საგამოცდო ოფისის გადაწყვეტილებით, მათ შორის, აბიტურიენტის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების ან მისი მხრიდან ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე, წინასწარ ან არაუგვიანეს გამოცდის დღისა.
5. თუ აბიტურიენტი არის შშმ ან/და სსსმ პირი და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, წერილობით უნდა მიმართოს საგამოცდო ოფისს გამოცდის თარიღამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და წარადგინოს სათანადო სამედიცინო ცნობა შესაბამისი ფუნქციური დარღვევის შესახებ, რათა საგამოცდო ოფისმა უზრუნველყოს თანაბარი გარემო-პირობები. საგამოცდო ოფისის მიერ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ფუნქციური დარღვევები, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს.
6. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური/ტექნიკური მიზეზების გამო, განსაზღვრულ ვადებში აბიტურიენტი ვერ შეძლებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლას, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ამ ვადის გასვლის მე-2 დღეს აღნიშნული რეგისტრაციის ტექნიკურად გავლა, ან შემდგომ დღეებში (პორტფოლიოების მიღების დასრულებამდე), აბიტურიენტის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს აბიტურიენტის დამატებით დარეგისტრირება.

მუხლი 9. საგამოცდო პროცედურები

1. აბიტურიენტი საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს 08:00 საათზე და გაიაროს ამ დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია. გამოცდის პროცესი იწყება ერთდროულად ყველა აბიტურიენტისთვის.
2. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის დროს აბიტურიენტი ვალდებულია წარადგინოს პირადობის მოწმობა/პასპორტი. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის დღისთვის დამდგარი ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია პირადობის მოწმობის/პასპორტის წარმოდგენა, მაგრამ მის მიერ პორტფოლიოს წარმოდგენის დროს წარმოდგენილი პირადობის მოწმობის/პასპორტის საფუძველზე, ან სხვა დოკუმენტით, ან სხვა საშულებით (მაგალითად, პირადობის მოწმობის/პასპორტის დასკანერებული/ფოტოგადაღებული სახით ელექტრონულად გადმოგზავნით) შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, იგი დაშვებული იქნება გამოცდაზე.
3. აბიტურიენტმა არქიტექტურის ფაკულტეტის (არქიტექტურა, ინტერიერის დიზაინი) საბაკალავრო პროგრამების გამოცდაზე თან უნდა იქონიოს შავი ფანქარი, ე.წ. მიკროპენი, დაფა რეიშინით, მზომი, ფარგალი, საშლელი და სახაზავები.
4. აბიტურიენტმა სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების გამოცდაზე თან უნდა იქონიოს გრაფიტის ფანქრები და სახატავი დაფა 70X50 ზომებით.
5. საგამოცდო პროცესის სანდოობის უზრუნველსაყოფად, აბიტურიენტს გადაეცემა საგამოცდო ნამუშევრის ფორმატი, რომელზეც დასმულია თსსა-ის ბეჭედი და საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის ხელმოწერა. აღნიშნულ ფორმატზე აბიტურიენტის მიერ მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო ფორმატის ის ნაწილი, რომელზეც, ამ პუნქტის შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ილუქება ბეჭდით და გაუმჭვირვალე ფურცლით.
6. არქიტექტურის ფაკულტეტის (არქიტექტურა, ინტერიერის დიზაინი) საბაკალავრო პროგრამებზე საგამოცდო დღის ხანგრძლივობაა 5 საათი, ხოლო სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების გამოცდაზე ამ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამი ნამუშევრის თითოეულ პოზიციაზე ხატვის სეანსის ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 საათით (სეანსებს შორის შესვენება - 15 წთ).
7. ამ დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, საპატიოდ ითვლება არაუმეტეს 30 წთ-ით დაგვიანებით გამოცხადება. ამ დროის გასვლის შემდეგ აბიტურიენტი არ დაიშვება გამოცდაზე, გარდა მისგან დამოუკიდებლად დამდგარი ობიექტური გარემოებების გამო დაგვიანებისა, რის შესახებაც იგი მიუთითებს განცხადებაში, რომლითაც გამოცხადებისთანავე მიმართავს საგამოცდო ოფისს და მოითხოვს გამოცდაზე დაშვებას.

8. შესაბამისი მოთხოვნისას, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი აბიტურიენტები თავისუფლდებიან ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ნივთების წარმოდგენის ვალდებულებისგან და ამ ნივთებით მათ უზრუნველყოფს თსსა, რისთვისაც აბიტურიენტის მიერ რეგისტრაციის პირველი ეტაპის განხორციელებისას მითითებული უნდა იქნეს მოცემული საჭიროებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების მიზნით აბიტურიენტი ვალდებულია, რეგისტრაციის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, თსსა-ში წარადგინოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა.

მუხლი 10. აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები

1. აბიტურიენტი ვალდებულია:
ა) დროულად გამოცხადდეს გამოცდაზე;
ბ) თან იქონიოს ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები და ნივთები (გარდა მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
გ) საგამოცდო ნამუშევრის დასრულების შემდეგ ნამუშევარი ჩააბაროს წარმომადგენელს/მეთვალყურეს;
დ) შეასრულოს წარმომადგენლის/მეთვალყურის ცალკეული მითითებები, ასევე, ზედმიწევნით დაიცვას საგამოცდო ცენტრში მოქმედი უსაფრთხოების წესები და რეგულაციები.
2. აბიტურიენტის მიერ ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში იგი არ დაიშვება გამოცდაზე (გარდა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტშივე მითითებული გამონაკლისი შემთხვევისა). ასევე, აბიტურიენტი ვალდებულია თან იქონიოს ამ დებულების მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი ნივთები, რადგან თსსა-ის მიერ ვერ მიეწოდება და პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება აბიტურიენტს.
3. გამოცდის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონით ან სხვა ელექტრონული აპარატით გადაღება;
ბ) საგამოცდო ადგილის უნებართვოდ დატოვება.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აბიტურიენტს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევის ან/და უგულებელყოფის შემთხვევაში, აბიტურიენტს მიეცემა შენიშვნა და მიეთითება წესების დაცვის აუცილებლობაზე. აღნიშნული მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტი მოიხსნება გამოცდიდან, რაც ფორმდება ოქმით.

5. გაფრთხილების გარეშე აბიტურიენტის გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ასევე, წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში, რაც აგრეთვე ფორმდება შესაბამისი ოქმით.
6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს და ამავე პუნქტებში მითითებულ ოქმებს აფორმებს საგამოცდო ოფისი.

მუხლი 11. აბიტურიენტისგან საგამოცდო ნამუშევრების ჩაბარება

1. საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში აბიტურიენტს უფლება აქვს, საგამოცდო ფორმატის ჩაბარების შემდეგ დატოვოს საგამოცდო სივრცე, წარმომადგენლის/მეთვალყურის თანხლებით.
2. საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ წარმომადგენელი/მეთვალყურე ამოწმებს თითოეული აბიტურიენტის საგამოცდო ნამუშევრის ფორმატს, მის დაუზიანებლობას და იბარებს მას.
3. საგამოცდო დროის დასრულებისთანავე წარმომადგენელი/მეთვალყურე აგროვებს ყველა საგამოცდო ნამუშევარს და გადასცემს საგამოცდო ოფისს.
4. ყველა ჩაბარებული საგამოცდო ნამუშევარი გროვდება ერთად და ილუქება ცალკე სივრცეში საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელისა და დამკვირვებლების თანდასწრებით, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი.
5. შემფასებელ კომისიას საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის მიერ გადაეცემა დალუქული ნამუშევრები და ასევე, სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით - პორტფოლიოები (ანონიმურად - ინდივიდუალური კოდებით შეფასებისთვის), რომლებიც გადაითვლება და გაფორმდება შესაბამისი აქტი (შემფასებელი კომისიისა და საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელებს შორის). აქტის გაფორმების შემდეგ შემფასებელი კომისია უფლებამოსილია, დაიწყოს მუშაობა.
6. შემფასებელი კომისიის მიერ პორტფოლიოსა (სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით) და საგამოცდო ნამუშევრისთვის მინიჭებული ქულები აღინიშნება ცალკ-ცალკე (მათ შორის, საგამოცდო ნამუშევრის ქულა აღინიშნება ასევე საგამოცდო ნამუშევრის ფორმატზე) და შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ პორტფოლიოები და საგამოცდო ნამუშევრები უბრუნდება საგამოცდო ოფისს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნულის შემდგომ, საგამოცდო ნამუშევრის ფორმატიდან მოიხსნება ამ დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ გაუმჭვირვალე ფურცელი, შეფასებული ავტორის იდენტიფიცირებისა და ამ დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შედეგების გამოქვეყნების მიზნით.

მუხლი 12. განმეორებითი კონკურსი

საგამოცდო ცენტრში ფორს-მაჟორული სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის გამოცდის ჩატარებას, საგამოცდო ოფისს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის სხვა დღეს ჩატარების თაობაზე, რომელზედაც დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც დაშვებული იყვნენ გამოცდაზე და ფორს-მაჟორულ გარემოებათა გამო არ მიეცათ გამოცდაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 13. წარმომადგენელი/მეთვალყურე და დამკვირვებელი

1. კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრში გამოცდების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ წარმომადგენლები/მეთვალყურეები და დამკვირვებლები, რომელთა საგამოცდო ცენტრში განაწილება ხდება საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის მიერ.
2. საგამოცდო ცენტრში, გამოცდის მიმდინარეობისას, დაუშვებელია ამ დებულებით გაუთვალისწინებელი პირების დაშვება/დასწრება.
3. წარმომადგენელი/მეთვალყურე არის პირი, რომელიც უფლებამოსილია, ამ დებულებით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში დარღვევის აღმოსაფხვრელად მიიღოს ზომები და საგამოცდო ცენტრში დაამყაროს წესრიგი.
4. გამოცდაზე დამკვირვებელი უფლებამოსილია, აკონტროლოს საგამოცდო ცენტრში გამოცდის მიმდინარეობა, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ასახოს იგი ოქმში, საგამოცდო პროცესში ჩარევის გარეშე.
5. წარმომადგენელს/მეთვალყურესა და დამკვირვებელს ეკრძალებათ ნებისმიერი ფორმით აბიტურიენტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელშეშლა.
6. თუ გამოცდის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ წარმომადგენელი/მეთვალყურე და დამკვირვებელი არ იცავენ ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, საგამოცდო ოფისი უფლებამოსილია, დაატოვებინოს მათ საგამოცდო ცენტრი.
7. რექტორის ბრძანებით, რეგისტრატორებს და ტექნიკურ და სხვა პერსონალს შეიძლება დაეკისროთ წარმომადგენლის/მეთვალყურის ფუნქციის შესრულება.
8. წარმომადგენელს/მეთვალყურეს (ასევე, საგამოცდო ოფისის საქმიანობაში მონაწილე სხვა პირებს, მათ შორის, რეგისტრატორებსა და ტექნიკურ და სხვა პერსონალს) შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება, რექტორის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. შემოქმედებითი კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

1. აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოსა და გამოცდის შეფასების შედეგები ქვეყნდება შემფასებელი კომისიის მიერ მათი განხილვის/შეფასების დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში.

2. შედეგები ქვეყნდება ელექტრონულ ფორმატში თსსა-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასევე, ნაბეჭდი სახით საინფორმაციო დაფაზე) კოდირებული სახით, რაც ითვალისწინებს თითოეული აბიტურიენტისთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდებისა და შესაბამისი პირის მიერ მიღებული ქულების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

მუხლი 15. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა/ განხილვა

1. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საპრეტენზიო საბჭოს მიერ.

2. დებულების მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის (არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე) თითოეულ კომპონენტთან (პორტფოლიო, გამოცდა) დაკავშირებით იქმნება ორი საპრეტენზიო საბჭო;

ბ) მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის (სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე) კომპონენტებთან დაკავშირებით იქმნება ერთი საპრეტენზიო საბჭო.

3. დაუშვებელია ერთი და იგივე პირის მონაწილეობა ერთზე მეტი საპრეტენზიო საბჭოს საქმიანობაში. საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე განისაზღვრება საპრეტენზიო საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანებით.

4. დაუშვებელია, საპრეტენზიო საბჭოს წევრი იყოს ამავე დროს იმ შემფასებელი კომისიის წევრი, რომლის გადაწყვეტილებასაც განიხილავს საპრეტენზიო საბჭო.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული საპრეტენზიო საბჭოს წევრთა რიცხოვნობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე:

ა.ა) პორტფოლიოს შეფასებთან დაკავშირებით შექმნილი საპრეტენზიო საბჭო - 3 წევრი;

ა.ბ) გამოცდის შეფასებასთან დაკავშირებით შექმნილი საპრეტენზიო საბჭო - 5 წევრი;

ბ) სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე პორტფოლიოს/გამოცდის შეფასებასთან დაკავშირებით შექმნილი საპრეტენზიო საბჭო - 5 წევრი.

6. საპრეტენზიო საბჭოს წევრს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება, რექტორის ბრძანების შესაბამისად.

7. შედეგების გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში (10:00 საათიდან 18:00 საათამდე) აბიტურიენტს უფლება აქვს, მოითხოვოს პორტფოლიოს/საგამოცდო ნაშრომის ხელახალი შეფასება. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია თსსა-ში საპრეტენზიო განცხადების შეტანით, რომელშიც უნდა მიეთითოს შესაბამისი აბიტურიენტისთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდი.
8. საპრეტენზიო განცხადებას თან უნდა ერთოდეს ამ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (წინააღმდეგ შემთხვევაში საპრეტენზიო განცხადება არ განიხილება).
9. საპრეტენზიო განცხადებების მიღების დასრულების დღის მომდევნო 2 (ორი) კალენდარული ან სამუშაო დღის ვადაში, საპრეტენზიო საბჭო განიხილავს ყველა განცხადებას თანამიმდევრულად. განხილვას შეიძლება დაესწროს:
ა) განმცხადებელი;
ბ) საჭიროებისამებრ, განმარტებისთვის (ხმის უფლების გარეშე) - შემფასებელი კომისიის ერთ-ერთი წევრი, საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად;
გ) ტექნიკური დახმარებისა და დაკვირვების მიზნით - საგამოცდო ოფისის წევრ(ებ)ი, წარმომადგენელი/მეთვალყურე ან/და დამკვირვებელი.
10. საპრეტენზიო განცხადების განხილვის პროცესში განმცხადებელს ეკრძალება მობილური ტელეფონით ან სხვა ელექტრონული აპარატით გადაღება.
11. საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
12. საპრეტენზიო განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას საპრეტენზიო საბჭო იღებს კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში - კენჭისყრით, დამსწრე საპრეტენზიო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით, განცხადების განხილვის დასრულების შემდეგ იმავე დღეს ან 1 (ერთი) კალენდარული ან სამუშაო დღის ვადაში. საპრეტენზიო საბჭო ვალდებულია მიიღოს ამ პუნქტში მითითებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება.
13. საპრეტენზიო საბჭოს მიერ საპრეტენზიო განცხადებებზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 24 სთ-ში, საბჭოს გადაწყვეტილების შედეგები ქვეყნდება კოდირებული სახით თსსა-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.
14. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, მისი ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.
15. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება გადაეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. შემოქმედებითი კონკურსის შედეგების წარდგენა

საგამოცდო ოფისი თსსა-ის რექტორს წარუდგენს კონკურსგავლილი აბიტურიენტების სიას საბოლოო ქულების მითითებით, რის შემდეგაც შესაბამისი დოკუმენტაცია იგზავნება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 30 ივნისამდე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებების განსახორციელებლად.